პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და
საქ სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.
КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

კვირა
6 თებერვალი
1944 წ.
№ 26 (6920)
ფასი 20 კაპ.

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
არმიის გენერალ ვასუბინს

უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარებმა, მოძრავი შენაერთებისა და ქვეითი ჯარის სწრაფი დარტყმისა და მარჯვედ ჩატარებული შემოვლითი მანევრის შედეგად, დაიკავეს ქალაქები ლუცკი და როვნო — უკრაინის დიდი საოლქო ცენტრები, აგრეთვე ქალაქი და მნიშვნელოვანი რკინიგზის კვანძი ზდოლბუნოვი.

ქალაქების ლუცკის, როვნოს და ზდოლბუნოვის დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ პუხოვის, გენერალ-ლეიტენანტ ბარანოვის, გენერალ-ლეიტენანტ სოკოლოვის, გენერალ-ლეიტენანტ კირიუხინის, გენერალ-ლეიტენანტ გლუხოვის, გენერალ-მაიორ მამსუროვის, გენერალ-მაიორ ვასილიევის, გენერალ-მაიორ ხრუსტალიოვის, გენერალ-მაიორ ზუბოვის, პოლკოვნიკ გორშჩევის, გენერალ-მაიორ პავლოვის ჯარებმა, სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ ნოვიკოვის, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ კოროლევის, პოლკოვნიკ პუშკარიოვის ტანკისტებმა, არტილერიის გენერალ-მაიორ კუბეევის არტილერისტებმა და პოლკოვნიკ ბარაშის მესანგრეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად ის შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე უფრო გამოიჩინეს თავი ბრძოლებში წარდგენილ იქნან „ლუცკისა“ და „როვნოს“ სახელწოდების მისანიჭებლად და ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 5 თებერვალს, 21 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი სამშობლოს სახელით ორას ოცდაოთხი ქვემეხის ოცი საარტილერიო სალუტს აძლევს ჩვენს მამაც ჯარებს, რომლებმაც დაიკავეს ქალაქები ლუცკი, როვნო, ზდოლბუნოვი.

საუცხოო საბრძოლო მოქმედებისათვის მადლობას ვუცხადებ თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ყველა ჯარს, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ქალაქების ლუცკის, როვნოს, ზდოლბუნოვის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1944 წლის 5 თებერვალი.

წარმატებით ვწყვეტთ დიდ საერთო-სახალხო ამოცანას
„პრავდის“ მოწვინავე—ნ თებერვალი

1943 წლის 21 აგვისტოს სსრ კავშირის სახკომსაბჭომ და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა გამოიტანეს ისტორიული დადგენილება „გერმანელთა ოკუპაციისაგან განთავისუფლებულ რაიონებში მეურნეობის აღდგენის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ“. ზაფხულში წითელი არმიის გაჩაღებული შეტევის დროს მიღებული ეს დადგენილება ასახავს ძირფესვიან გარდატეხას ომის მსვლელობაში. გოძარჯვა რა კურსკთან ბრძოლაში, წითელმა არმიამ კატასტროფის წინაშე დააყენა გერმანელ ფაშისტთა არმია. საბჭოთა პოლკები და დივიზიები შეუკავებელ ზვავად დაეძრნენ დასავლეთისაკენ და სწენდნენ მშობლიურ მიწა-წყალს ჰიტლერელ ყაჩაღთაგან.

წითელი არმიის შეტევამ წინანდელზე უფრო დიდი მოცულობით გამოაშკარავა გერმანელთა არმიის ბარბაროსული, ბანდიტური საიათი. ჰიტლერელმა მხეცებმა და დამრბევებმა დაანგრიეს და გაძარცვეს ჩვენი ქალაქები და სოფლები.

საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე, მთელი ჩვენი ხალხის წინაშე, რომელმაც ბრძოლა გააჩაღა მტრის საბოლოო განადგურებისათვის, უდიდესი მნიშვნელობის ამოცანა წამოიჭრა — „...დანგრეული ქალაქებისა და სოფლების, მრეწველობის, ტრანსპორტის, ხოფლის მეურნეობის, კულტურული დაწესებულებების აღდგენა, ფაშისტური მონობისაგან დახსნილი ხალხთა ადამიანებისათვის ცხოვრების ნორმალური პირობების შექმნა... ჩვენ მთლიანად ღირდა მოვახდინოთ გერმანელთა ბატონობის შედეგების ლიკვიდაცია იმ რაიონებში, რომლებიც განთავისუფლებულია გერმანელთა ოკუპაციისაგან. ეს დიდი, ხაყოველთაო-სახალხო ამოცანაა. ჩვენ შეგვიძლია და კიდეც ღირდა გადაწყვიტოთ ეს ძნელი ამოცანა მოკლე ვადაში“ (ი. სტალინი).

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1943 წლის 21 აგვისტოს დადგენილებაში, რომელმაც დასაბა განთავისუფლებული რაიონებისათვის გადაუდებელი დახმარების გაწევის საბრძოლო პროგრამა, თავისი გამოხატულება ჰპოვა დიადი საბჭოთა სახელმწიფოს დაუშრეტელმა ძალამ და სიმძლავრემ. მასში გამოხატულია სტალინური მამობრივი ზრუნვა საბჭოთა ადამიანებისათვის, საბჭოთა ხალხს ურყევი ნებისყოფა და გადაწყვეტილება — უმოკლეს ვადაში აღადგინოს ცხოვრება მტრისაგან განთავისუფლებულ მიწა-წყალზე.

მხოლოდ ლენინისა და სტალინის მიერ შექმნილ საბჭოთა სახელმწიფოს, მხოლოდ ჩვენს სოციალისტურ ქვეყანას, რომელიც ძლევამოსილად ეწევა თავისი მასშტაბებითა და სიმძაფრით ისტორიაში უმაგალითო ომს ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ, შესწევს ძალა, რომ იმავე დროს გადაწყვიტოს ისეთი გიგანტური ამოცანები, როგორიც არის გერმანელების მიერ დანგრეული მეურნეობის აღდგენა განთავისუფლებულ რაიონებში. სოციალისტურმა წყობილებამ ერთხელ კიდევ დაადასტურა მთელი თავისი დიადი მნიშვნელობა, მთელი თავისი დიდი ძალა.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ განთავისუფლებული რაიონებისათვის დახმარება საკმე მეაყენა მტკიცე საერთო-სახელმწიფოებრივ რელსებზე. გერმანელთა ოკუპაციისაგან განთავისუფლებულ რაიონებში მეურნეობის აღდგენის ხელმძღვანელობა და მთავრობის იმ გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლი, რომლებიც ამ რაიონებს შეეხება, დავალებული აქვს სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან სპეციალურად შექმნილ კომიტეტს.

განთავისუფლებული რაიონების გადაუდებელი დახმარებისათვის მთავრობისა და პარტიის მიერ დასახული ღონისძიებანი მხურვალედ მოიწონა მთელმა ჩვენმა ხალხმა. საბჭოთა ადამიანებმა დაინახეს ჩვენი სახელმწიფოს ურყევი სიმძლავრის კიდევ ერთი დადასტურება. და მათ ახალ-ახალი საბრძოლო და შრომითი გმირობით უპასუხეს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას. განთავისუფლებული ქალაქებისა და სოფლების მოსახლეობა უმაგალითო აღფრთოვანებამ მოიცვა. სტალინურმა ზრუნვამ ფრთა შეასხა ადამიანებს, რომლებმაც მძიმე წამება გადიტანეს ფაშისტური ტყვეობისა და ძარცვა-გლეჯისაგან.

ოლონეცის ოლქის ძერჟინსკის რაიონის ყრილ „ტრუდოვიკის“ კოლეგიურნიკ მ. ფოკინმა, რომელმაც წითელი არმიის მიერ განთავისუფლებული მილიონობით საბჭოთა ადამიანის გრძნობა და ფიქრი გამოხატა, სთქვა: „ბევრი მწუხარება მოგვაყენა წყეულმა გერმანელმა, გვეგონა, რომ მალე ვერ მოვიდოდით გონს, ახლა კი ვხედავ—მტრის ჯიბრზე ასეთი დახმარებით ჩვენ სწრაფად აღვადგენთ მეურნეობას. მადლობას უძღვნის ამხანაგ სტალინს ყველა ჩვენგანი...“

უზარმაზარ განთავისუფლებულ ტერიტორიაზე, რომელიც ევროპის მთელ რიგ სახელმწიფოთა ტერიტორიას უდრის, გაჩაღებული ნაჩქეფარი, შემოქმედებითი მუშაობა გერმანელი ბარბაროსების მიერ დანგრეული მეურნეობის, კულტურისა და ყოფა-ცხოვრების აღსადგენად. ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მოწოდებით, დიდი სტალინის მოწოდებით აღდგენითს საქმეშიც ჩაებნენ მამაკაცებიც, ქალებიც, ახალგაზრდობაც—ყველა საბჭოთა ადამიანი.

პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები სამეურნეოში ჩაუდგნენ მასების შრომითს ორგანიზაციას და მათი თავდადებული შრომა წარმართეს განთავისუფლებულ რაიონებში აღდგენილი და აღშენებული სამეურნეოების ადგილზე. ეს ამოცანა გადაჭრეს ადამიანებმა, ადამიანებმა, ადამიანებმა.

ბოლშევიკური ორგანიზაციებმა, ადგილობრივ ორგანიზაციებმა, ადგილობრივ ხელისუფლებამ, ადგილობრივ ეკონომიკურ ორგანოებმა, ადგილობრივ ფინანსურ ორგანოებმა, ადგილობრივ ვაჭრობის

საქართველოს მშრომელები ახალი გამარჯვებებით უპასუხებენ სსრკ უმაღლესი საბჭოს X სესიის ისტორიულ გადაწყვეტილებებს

საქართველოს მეცნიერები ერთსულოვნად მიესალმებიან X სესიის ისტორიულ გადაწყვეტილებებს

საქართველოს მეცნიერების ერთსულოვანი მოწონებით შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს X სესიის ისტორიულ გადაწყვეტილებებს. მეცნიერებათა აკადემიაში მიტინგზე, რომელსაც აკადემიის პრეზიდენტი ნ. მუსხელიშვილი თავმჯდომარეობდა, ინფორმაციით გამოვიდა აკად. ს. ჯანაშია. მან ილაპარაკა იმ დიდ აღფრთოვანებაზე, რომლითაც მთელი საბჭოთა ხალხი შეხვდა ლენინის ქალაქის სრულ განთავისუფლებას მტრის ალყისაგან და უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშლის ი. სტალინის ბრძანებას უკრაინაში გერმანელ ფაშისტთა ჯარების დიდი დაჯგუფების გარშემორტყმის შესახებ. წითელი არმიის ამ ბრწყინვალე გამარჯვებათა ფონზე კიდევ უფრო აღმაფრთოვანებელია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები მოკავშირე რესპუბლიკებისათვის საუღარისო ფორმირებათა შექმნისა და საგარეო ურთიერთობის დარგში უფლებამოსილობის მინიჭების შესახებ. ეს კანონები მოწმობენ საბჭოთა კავშირის ძლიერების ზრდას, მოკავშირე რესპუბლიკებისათვის საუღარისო განვითარების ისტორიაში ახალ ნაბიჯს წინ. მაშინ როცა გერმანიის ფაშიზმი სპობს სახელმწიფოების თავისუფლებას, ფეხქვეშ სთელავს ერთა დამოუკიდებლობას, საბჭოთა კავშირი კიდევ უფრო აფართოებს ხალხთა დემოკრატიულ უფლებებს. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ახალი უფლებები ახალ მოვალეობას გვაკისრებს და საქართველოს მეცნიერები კიდევ უფრო მეტი მონდომებით იმუშავებენ, რომ დაიჭირონ მტრის საბოლოო განადგურება.

ვრცელი სიტყვით გამოვიდა აკად. ა. თვალჭრელიძე, რომელმაც ილაპარაკა იმ უდიდესი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შესახებ, რომლებითაც სარგებლობენ საბჭოთა კავშირში შემავალი ერები. უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული ახალი კანონები ამ უფლებათა კიდევ უფრო გაფართოების შესახებ მოწმობენ მოკავშირე რესპუბლიკების დიდ აღმავლობას.

აკად. ნ. კეტელაურმა აღნიშნა, რომ ჩვენი ქვეყანა დიდ სახელმწიფოებრივ გარდაქმნას ატარებს გამძაფრებული ომის პირობებში. ეს მისი ძალისა და ძლიერების მაჩვენებელია. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებულ კანონებს ჩვენ კიდევ უფრო დიდებული მუშაობით უნდა ვუპასუხოთ.

მიტინგს ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომლის ტექსტი წაიკითხა აკადემიის სწავლულმა მდივანმა ამხ. ვ. მაჭავარიანმა. რეზოლუცია ერთსულოვნად იწონებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს X სესიის ისტორიულ გადაწყვეტილებებს.

ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის ახალი ბრწყინვალე გამარჯვება

საქართველოს ხელოვნების მუშაკები აღფრთოვანებით შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს X სესიის ისტორიულ გადაწყვეტილებებს მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა გაფართოების შესახებ ჯარების ფორმირებათა შექმნისა და საგარეო ურთიერთობის დარგში.

რუსთაველის თეატრის დირექტორმა ამხ. ვ. მურლოდიანმ, რომელმაც თეატრის კოლექტივის მიტინგს გააცნო სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ვ. მოლოტოვის მოხსენება და უმაღლესი საბჭოს X სესიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, განაცხადა, რომ ომის ქარაშხალში ჩვენი დიდი საშობლო კიდევ უფრო განმტკიცდა, მისი ავტორიტეტი მთელ მსოფლიოში უაღრესად გაიზარდა. ამ ძლიერების ზრდის მაჩვენებელია ახალი ისტორიული კანონები მოკავშირე რესპუბლიკათა უფლებების გაფართოების შესახებ.

ღიღმნიშვნელოვანი გარდაქმნები ჩვენს სახელმწიფოში

ერთსულოვანი მოწონების გრძნობით შეხვდნენ თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტობა სსრ კავშირის 1-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებულ კანონებს.

ინსტიტუტში შემდგარ მიტინგს ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის მოხსენება უმაღლესი საბჭოს X სესიაზე გააცნო ინსტიტუტის დირექტორმა მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ პროფ. კ. ერისთავმა. — ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის მოხსენება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს X სესიაზე,—სთქვა მან,— უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენაა. თავდაცვის სახალხო კომისარიატისა და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საერთო-საკავშირო სახალხო კომისარიატებიდან საკავშირო-რესპუბლიკურ სახალხო კომისარიატებად გარდაქმნა საბჭოთა სახელმწიფოს სამტკიცისა და ძლიერების ახალ დადასტურებას წარმოადგენს. იგი ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის ახალი დიდი გამარჯვებაა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს X სესიის მიერ მიღებულმა კანონებმა, რომლებიც თბილისის აბრეშუმსაქმოვი ფაბრიკის აგიტატორებმა ცალკეული საამქროების მიხედვით გააცნეს მუშებს, ფაბრიკის კოლექტივში საერთო აღფრთოვანება და ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია.

ამხანაგ მოლოტოვის მოხსენება და საბჭოს მიერ მიღებული კანონები უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის ფაქტებია, რაც ერთხელ კიდევ ადასტურებს ჩვენი სამშობლოს ძლევამოსილობას. ამ დიდმნიშვნელოვან საბელმწიფო გარდაქმნათა ცხოვრებაში გატარება კიდევ უფრო განამტკიცებს საბჭოთა საბელმწიფოს ძლიერებას და წინ წაწევს მის კეთილდღეობას. ეს გარდაქმნები ლენინურ - სტალინური ნაციონალური პოლიტიკის ახალი ბრწყინვალე გამარჯვებაა, ახალი მძლავრი დარტყმა ფაშიზმის წინააღმდეგ, რაც კიდევ უფრო დაიჩარებს ჰიტლერული ტირანიის სრულ განადგურებას, — აღნიშნავენ ფაბრიკის მუშები.

ფაბრიკის ცნობილმა სტახანოველმა, მრავალდაჯილდოებულმა მქსოველმა, მედალოსანმა ამხ. ნ. ბალნაშვილმა ამ ისტორიულ გადაწყვეტილებათა პასუხად იკისრა, რომ უფრო მეტი თავდადებით იმუშავებს, გააღიღებს შრომის ნაყოფიერებას, გაუმჯობესებს პროდუქციის ხარისხს, ყოველთვიურ გეგმას 140 პროცენტით შეასრულებს.

მოსამზადებელი საამქროს სამსრე განყოფილების სტაჯანოველმა მუშამ კომკავშირელმა ეკატერინე სინაძემ, რომელიც ყოველთვიურ გეგმას 180 პროცენტით ასრულებს, ვალდებულება იკისრა უახლოეს ხანში მიაღწიოს გეგმის 200 პროცენტით შესრულებას.

აბრეშუმსაქმოვი ფაბრიკის კოლექტივმა ამხანაგ მოლოტოვის მოხსენებასა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებულ კანონებს — თავდაცვის სახალხო კომისარიატისა და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საერთო-საკავშირო კომისარიატებიდან საკავშირო-რესპუბლიკურ სახალხო კომისარიატებად გარდაქმნა საბჭოთა ხალხების ნაციონალურ განვითარებაში. საუღარისო ფორმირებათა შექმნისა და საგარეო ურთიერთობის დარგში მოკავშირე რესპუბლიკებისათვის უფლებამოსილობის მინიჭების შესახებ კანონების გამოქვეყნებას ჩვენ, მუშები, შრომითი აღმავლობის ახალი მაჩვენებლებით ვუპასუხებთ.

მიტინგზე ფატრიოტული სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე საამქროს უფროსი ამხ. ს. ნოვიკი და ფაბრიკის დირექტორის მოადგილე ამხ. მ. მაისურაძე.

უძვირფასესი განძი ჰიტლერიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებულ კანონებს მოკავშირე რესპუბლიკების საუღარისო ფორმირებათა შექმნისა და საგარეო ურთიერთობის დარგში მოკავშირე რესპუბლიკებისათვის უფლებამოსილობის მინიჭების შესახებ და ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის ლრმამნიშვნელოვანს მოხსენებას X სესიაზე საყოველთაო მოწონებით შეხვდა კირთვის სახელობის თბილისის დაზგათმშენებელი ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა კოლექტივი.

ქარხნის ერთ-ერთ საამქროში აგიტატორ ბ. სუჯაშვილის მიერ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს X სესიისადმი მიძღვნილი საუბრისას ინჟ. გ. რუსაძემ განაცხადა:

— სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს X სესიის მიერ მიღებული ისტორიული გადაწყვეტილებები წარმოადგენენ ჩვენი დიადი საშობლოს ფოლადისებური სიმტკიცის დემონსტრაციას მთელი კაცობრიობის წინაშე, და უძვირფასეს განძს პირსისტლიანი ჰიტლერიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. მოკავშირე რესპუბლიკების საუღარისო ფორმირებათა შექმნისა და საგარეო ურთიერთობის დარგში მოკავშირე რესპუბლიკებისათვის უფლებამოსილობის მინიჭების შემდგომს განმტკიცებას.

მოწინავე სტახანოველმა ოსტატმა ამხ. ა. ზუცინშვილმა აგიტატორ კ. ვარდანაშვილს მიერ ჩატარებული საუბრისას სთქვა:

— თავდაცვის სახალხო კომისარიატისა და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის გარდაქმნა საერთო-საკავშირო კომისარიატებად საკავშირო-რესპუბლიკურ სახალხო კომისარიატებად ახალ ნაბიჯს წარმოადგენს წინ მოკავშირე რესპუბლიკების ნაციონალური განვითარების ისტორიაში. ამ დიდი სახელმწიფოებრივი გარდაქმნებით აღფრთოვანებული, შევიცდები კიდევ უფრო მაღალაყოფიერი გაუხდიო ჩემი შრომა და გავუმჯობესო პროდუქციის ხარისხი.

ასევე განაცხადეს აგიტატორების მიერ ქარხნის სხვა საამქროებში ჩატარებული საუბრებისას მოწონაც სტახანოველებმა ამხ. ეფსტიგნეევმა, გაგვიშვილმა, სვანმა და სხვ.

ახალი შრომითი აღმავლობა

თბილისის მაუდ-კამოლის ფაბრიკაში შეხვდა მიტინგი, რომელიც მიძღვნილი იყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს X სესიის მიერ ამხანაგ მოლოტოვის მოხსენების გამო მიღებულ გადაწყვეტილებათა გაცნობისადმი.

მიტინგზე ინფორმაციით გამოვიდა ამხ. ნ. ლისენკო. კანონებს საუღარისო ფორმირებათა შექმნისა და საგარეო ურთიერთობის დარგში მოკავშირე რესპუბლიკებისათვის უფლებამოსილობის მინიჭების შესახებ ფაბრიკის მთელი კოლექტივი ერთსულოვანი მოწონებით შეხვდა.

— ეს დიდი სახელმწიფოებრივი გარდაქმნები,—სთქვა ფაბრიკის მთავარმა ინჟინერმა, ორდენოსანმა ს. იაკობაშვილმა,—ჩვენს მუშებს, ინჟინერ-ტექნიკოსებს და მთელ მშრომელ მოსახლეობას ავალებს კიდევ უფრო თავდადებით იმუშაონ ქვეყნის ეკონომიური ძლიერების განსამტკიცებლად. ჩვენი პატრიოტული ვალია გამოვუშვათ კიდევ მეტი და უკეთესი ხარისხის პროდუქცია, ვიდრე დღემდე ვუშვებდით.

ორდენოსანმა ფეიქარმა ანა ოსტრიუკოვამ მიტინგზე განაცხადა:

— ყოველი მუშა, ყოველი სპეციალისტი უდიდესი აღფრთოვანებითა და სიხარულით ხვდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს X სესიის ამ ისტორიულ გადაწყვეტილებებს, რომლებიც მოწმობენ ახალ ნაბიჯს საბჭოთა ხალხების ნაციონალურ განვითარებაში. საუღარისო ფორმირებათა შექმნისა და საგარეო ურთიერთობის დარგში მოკავშირე რესპუბლიკებისათვის უფლებამოსილობის მინიჭების შესახებ კანონების გამოქვეყნებას ჩვენ, მუშები, შრომითი აღმავლობის ახალი მაჩვენებლებით ვუპასუხებთ.

თბილისის მაუდ-კამოლის ფაბრიკის აგიტკოლექტივის ხელმძღვანელი ამხ. ხ. იაკობაშვილი აგიტატორებთან ატარებს ხაუბარს სსრ კავშირის პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს X სესიის შედეგებზე. ფოტო რ. აკოფოვისა

ინგლისის ჰრესის გამოხმაურება თავდაცვის სახალხო კომისარიატისა და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის გარდაქმნაზე

ლონდონი, 3 თებერვალი (საკადესი). ინგლისის ყველა გაზეთში მოთავსდა დაწვრილებითი შინაარსი ამხ. ვ. მ. მოლოტოვის მოხსენებისა სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში თავდაცვის სახალხო კომისარიატისა და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საერთო-საკავშირო სახალხო კომისარიატებიდან საკავშირო-რესპუბლიკურ სახალხო კომისარიატებად გარდაქმნის შესახებ.

რეიტერის საგენტის დიპლომატიური მიმომხილველი რენდელ ნილი, ეხება რა ამ გარდაქმნას, წერს, რომ ინგლისის ავტორიტეტული წრეები იჩენენ დიდ ინტერესს და ამ მეტად მნიშვნელოვანი მოვლენის სრულ გაგებას. „თეორია, რომლიდანაც ახლანდელი რეფორმა გამომდინარეობს, — აცხადებს ნილი,—სჩანს, იმაში მდგომარეობს, რომ უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში რიგობლიკებმა თავიანთ სოციალურ და სამრეწველო განვითარებაში მიაღწიეს ისეთ დონეს, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს ისინი საბჭოთა ასაკიდან გამოსულებად ჩავთვალოთ“.

გაზეთები თავიანთ კომენტარებში გამოთქვამენ სხვადასხვა, ზნირად საწინააღმდეგო მოსაზრებას მომავალი გარდაქმნის არსისა და მიზნის შესახებ.

გაზეთი „დეილი მეილი“ სესიის გადაწყვეტილებებს უწოდებს „უდიდეს კონსტიტუციურ ცვლილებებს რუსეთის რევოლუციის მომენტიდან“.

„ტაიმსი“ სწერს, რომ გარდაქმნას, რომელიც ტარდება, „განსაკუთრებული ინტერესით და სიმპატიით შეეგებებიან ინგლისში“.

ჰრეს ასოშიეიტშის საგენტის დიპლომატიური მიმომხილველი სწერს, რომ „ლონდონში დღეს ცხოველი განხილვის საგანს წარმოადგენს სსრ კავშირის კონსტიტუციის გაბედული და ფართოდ მოსაზრებული ცვლილებანი. რასაკვირველია, ინგლისის ოფიციალური წრეები კომენტარს არ უკეთებენ საბჭოების შინაგანი ორგანიზაციის საკითხს. მაგრამ საერთო აზრი ისეთია, რომ მოხდა თვალსაჩინო მოვლენა, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირისა და გარეშე მსოფლიოსათვის.

ფიქრობენ, რომ ახალი ამბები წარმოადგენენ განსაკუთრებულ ინტერესს ომისშემდგომი რეკონსტრუქციისათვის“.

„დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტი“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მომავალი ცვლილებანი სრულებითაც არ დაემრნეკა სსრ კავშირის ახლანდელ ან მომავალ ძლიერებას და რომ ეს ცვლილებანი „ისევე, როგორც მოლოტოვის სიტყვის მრავალფეროვნებანი ადგილები, მოწმობენ მისწრაფებას გაერთიანებულ ერებს შორის ხანგრძლივი თანამშრომლობისაკენ, რაც ესოდენ მკაფიოდ გამომეღავნდა მოსკოვისა და თეერანის კონფერენციებზე“.

ამერიკელი სენატორები თავდაცვის სახალხო კომისარიატისა და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის გარდაქმნის შესახებ

ვაშინგტონი, 4 თებერვალი (საკადესი). თავდაცვის სახალხოფო კომისარიატის და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის გარდაქმნასთან დაკავშირებით ა. შ. შტატების კონგრესის მთელმა რიგმა წევრებმა განცხადება გაუკეთეს საკადესის კორესპონდენტს. ამ განცხადებათაგან ბევრი ჩატარებული გარდაქმნის არსისა და მიზნის ერთმანეთის საწინააღმდეგო შეფასებას შეიცავს.

კერძოდ, გავლენიანმა სენატორმა — დემოკრატმა ჰილმა (ალაბამის შტატი) სთქვა: „ეს ნაბიჯი, ალბათ, გააძლიერებს საბჭოთა წარმომადგენლობას და გავლენას საერთაშორისო საქმეებში, განსაკუთრებით ომის შემდეგ. შესაძლოა, ამან ხელი შეუწყოს მტკიცე მშვიდობიანობის შექმნას. რამდენადაც ჩვენ შეგვძლებთ მეტი წარმომადგენლობა მივანიჭოთ სხვადასხვა ხალხებს, მით უფრო მეტი შესაძლებლობა გვექნება ნამდვილი მშვიდობიანობის შესაქმნელად“.

სენატორმა — რესპუბლიკელმა ოსტინმა (ვერმონტის შტატი) აღნიშნა: „ეს ცვლილება პირველ რიგში საბჭოთა კავშირის შინაურ საქმეს წარმოადგენს. მე წარმატებას ვუსურვებ მას, მაგრამ არ შემიძლია ისეთი ლოზუნგების კომენტირება, რომელიც შინაური პოლიტიკის საკითხს წარმოადგენს, მიუხედავად იმისა, რომ მას გავლენა აქვს საერთაშორისო ცხოვრებაზედაც“.

ამერიკის პრესა ამხ. ვ. მ. მოლოტოვის მოხსენების შესახებ

ნიუ-იორკი, 3 თებერვალი (საკადესი). ა. შ. შტატების პრესა დიდ ყურადღებას უთმობს ამხ. ვ. მ. მოლოტოვის მოხსენებას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე. გაზეთები „ნიუ-იორკ ტაიმსი“ და „ნიუ-იორკ გერალდ ტრიბიუნი“ აკვეყნებენ ამხ. მოლოტოვის მოხსენების სრულ ტექსტს, სხვა გაზეთები ათავსებენ მოხსენების დაწვრილებითს შინაარსს.

გაზეთი „ნიუ-იორკ გერალდ ტრიბიუნი“ ამტკიცებს, თითქოს „უცხოელი მეთვალყურენი“ ვაშინგტონში საბჭოთა კავშირის მოქმედებას საგარეო ურთიერთობათა სისტემის რეორგანიზაციის დარგში აფასებენ როგორც საბჭოთა კავშირის სურვილს უზრუნველყოს თავისთვის უფრო ძლიერი პოზიცია ომისშემდგომს საერთაშორისო ორგანიზაციებში.

ამ მტკიცების საწინააღმდეგოდ ასოშიეიტედ პრესის საგენტოს ნიუ-იორკელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, რომ საბჭოთა ელჩი ბ. ბ. ბ. ... ...